ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

მრჩევლის ინსტიტუტი საჯარო დაწესებულებებში

მარტი, 2015 წელი

კვლევა განხორციელდა პროექტ **საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა - www.opendata.ge"- ფარგლებში**
პროექტის ფინანსური მხარდამჭერია ფონდი ღია საზოგადოება საქართველო და ღია საზოგადოების ფონდები

*კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს (IDFI) და არ გამოხატავს ფონდ **„ღია საზოგადოება-საქართველოს"** და **ღია საზოგადოების ფონდების** პოზიციას. შესაბამისად, აღნიშნული ორგანიზაციები არ არიან პასუხისმგებელი კვლევის შინაარსზე.*

აკრძალულია კვლევაში მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საკონტაქტო ინფორმაცია:
ტელ: + 995 32 2 92 15 14
ელ-ფოსტა: info@idfi.ge
თბილისი, ა. გრიბოედოვის ქ. № 3
ვებ-მისამართი: www.idfi .ge; www.opendata.ge

სარჩევი:

შესავალი 3

1. მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია 5

2. კვლევის ფარგლებში მიღებული ზოგიერთი სტატიკური მონაცემი 6

3. კვლევის შედეგად გამოვლენილი ფაქტები, ძირითად ტენდენციები და პრობლემურ საკითხები 9

3.1. მრჩევლების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების არაერთგვაროვანი პრაქტიკა 9

3.2. მრჩეველთა ფუნქცია-მოვალეობები 13

3.3. კვლევის შედეგად გამოვლენილი ზოგიერთი ფაქტი 18

3.4. მრჩევლის თანამდებობაზე გამწესებული შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიცრები უსაფრთხოების საკითხებში (ე.წ. „ოდეერები“) 22

4. დასკვნა 32

დანართი 34

შესავალი

ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს მხარდაჭერილი პროექტის „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა - www.opendata.ge“ ფარგლებში საქართველოს ადმინისტრაციული ორგანოებიდან მიღებული საჯარო ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, წარმოგიდგენთ კვლევას საქართველოს სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებში ხელმძღვანელების და მათი მოადგილეების მრჩევლების თანამდებობაზე დასაქმებულ პირთა შესახებ.

საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის მრჩეველი, თავისი ფუნქციით, მნიშვნელოვან საქმიანობას უნდა ასრულებდეს და პირდაპირ უნდა იყოს ჩართული საჯარო დაწესებულებაში პოლიტიკის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. აღნიშნული კვლევის ფარგლებში IDFI შეეცადა გაერკვია, თუ ვისგან იღებენ მინისტრები, მინისტრის მოადგილეები და სხვა საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელები თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებისას რჩევებს, ასევე როგორია მრჩევლების სამუშაო გამოცდილება, რა მოვალეობები აკისრიათ და რამდენია მათი შრომითი ანაზღაურება.

აღნიშნული საკითხებით IDFI-ის განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია 2014 წელს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ დავით შავლიშვილის მრჩევლის, მაია გვენეტაძის შესახებ მედიით გავრცელებულ ინფორმაციაზე საზოგადოების მკვეთრმა რეაქციამ. კერძოდ, მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მინისტრ შავლიაშვილის ახლობელი მაია გვენეტაძე 2014 წლის აგვისტოს მდგომარეობით მინისტრის მრჩევლის პოზიციაზე ყოფნას ერთ-ერთ სტომატოლოგიურ კლინიკაში მუშაობას უთავსებდა.[1] მრჩევლის ინსტიტუტით IDFI-ის დაინტერესება გამოწვეულია ასევე იმ გარემოებით, რომ სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებში უწყებების ხელმძღვანელების და მათი მოადგილეების მრჩევლები თანამდებობაზე ძირითადად საჯარო კონკურსის გარეშე ინიშნებიან, რაც ნეპოტიზმის საფრთხეს ზრდის. ამასთან, მრჩევლის თანამდებობაზე დასაქმებულ პირთა შესახებ ზოგადი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ხშირ შემთხვევაში არასაკმარისად არის უზრუნველყოფილი.

წინამდებარე კვლევა ეყრდნობა IDFI-ის მიერ საქართველოს 95 საჯარო დაწესებულებიდან მოთხოვნილ და მიღებულ საჯარო ინფორმაციას. იგი ძირითადად მოიცავს პერიოდს 2014 წლის სექტემბრიდან ნოემბრის ჩათვლით, თუმცა რიგ შემთხვევები გამოყენებულია 2014 წლის დეკემბრისა და 2015 წლის იანვრის მონაცემებიც. ამასთან, კვლევის პროცესში გაანალიზებულ იქნა მინისტრების/მინისტრების მოადგილეების 2011-2013 წლებში მოქმედი მრჩევლების შესახებ IDFI-ისთვის მოწოდებული ინფორმაციაც.

კვლევის დასაწყისში მოცემულია მრჩევლებთან დაკავშირებით საჯარო ინფორმაციის მოწოდების შესახებ IDFI-ის მიერ სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებისთვის გაგზავნილი მოთხოვნები და შესაბამისად მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიღებული

[1] https://www.youtube.com/watch?v=5l4XoZDjvCY (21.01.2015)

ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემი. კვლევის ძირითადი ნაწილი ეძღვნება მიღებული საჯარო ინფორმაციის ანალიზის შედეგად გამოვლენილ ფაქტებს, ძირითად ტენდენციებსა და პრობლემურ საკითხებს, როგორიცაა მაგალითად, მრჩეველთა ფუნქცია-მოვალეობები, მრჩეველთა მუშაობის ძირითადი მიმართულებები, ფუნქციათა შეუთავსებლობის საკითხები, სავარაუდოდ რიგ სახელმწიფო უწყებებში მრჩევლის თანამდებობაზე დანიშნული ე.წ. „ოდეერების“ პრობლემა და ა.შ. კვლევის დასკვნით ნაწილში კიდევ ერთხელ ხაზგასმულია მრჩევლებთან დაკავშირებით გამოვლენილი პრობლემები, ასევე მოცემულია აღნიშნულთან დაკავშირებით IDFI-ის რეკომენდაციები.

წინამდებარე კვლევით ირკვევა, რომ მრჩევლის ინსტიტუტთან დაკავშირებით არსებობს რიგი ხარვეზები, რომლებიც აღმოფხვრას საჭიროებენ. როგორც კვლევამ აჩვენა, მრჩევლების ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები ხშირ შემთხვევაში მკაფიოდ არ არის განსაზღვრული. არის შემთხვევები, როცა ერთი და იმავე უწყების ხელმძღვანელის რამდენიმე მრჩეველს ერთნაირი ფუნცია-მოვალეობები გააჩნია. რიგ შემთხვევებში მრჩევლებს აღნიშნული თანამდებობისთვის შეუსაბამო ფუნქცია-მოვალეობები აკისრიათ. ამასთან, წინამდებარე კვლევის თანახმად, შესაძლოა რამდენიმე საჯარო დაწესებულებაში ხელმძღვანელის მრჩევლის თანამდებობაზე ე. წ. „ოდეერი“ (შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიცერი უსაფრთხოების საკითხებში) იყოს გამწესებული.

1. მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია

2014 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში, წინამდებარე კვლევის ფარგლებში, IDFI-იმ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით მიმართა 19 სამინისტროს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატსა და 4 სამინისტროს, ასევე 71 დამოუკიდებელ და სამინისტროების დაქვემდებარებაში მყოფ საჯარო სამართლის იურიდიულ პირსა და საქვეუწყებო დაწესებულებას.[2]

საქართველოს მთავრობის ყველა სამინისტროდან მოთხოვნილ იქნა მინისტრების მრჩევლებისა და მინისტრების მოადგილეების მრჩევლების შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია:

2014 წლის სექტემბერში თითოეული სამინისტროდან მოთხოვნილი ინფორმაცია:

1. მინისტრის მრჩევლებისა და მინისტრის მოადგილეების მრჩევლების სახელები და გვარები, ასევე ინფორმაცია მათი სამუშაო გამოცდილების შესახებ (CV);
2. მინისტრის მრჩევლებისა და მინისტრის მოადგილეების მრჩევლების თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტების ასლები;
3. აღნიშნული მრჩევლების თანამდებობრივი სარგოს ოდენობა;
4. 2013-2014 წლებში მინისტრის მრჩევლებზე (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) დარიცხული სახელფასო დანამატების ოდენობა თვეების მიხედვით;
5. 2013-2014 წლებში მინისტრის მრჩევლებზე (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) დარიცხული პრემიის ოდენობა თვეების მიხედვით.

2014 წლის ოქტომბერში თითოეული სამინისტროდან მოთხოვნილი ინფორმაცია:

1. 2011–2013 წლების განმავლობაში მინისტრის მრჩევლებისა და მინისტრის მოადგილეების მრჩევლების თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტების ასლები, ასევე ინფორმაცია მათი სამუშაო გამოცდილების შესახებ (CV);
2. აღნიშნული მრჩევლების თანამდებობრივი სარგოს ოდენობა;
3. მინისტრის/მინისტრის მოადგილეების მოქმედი მრჩევლების სამუშაო აღწერილობა.

ანალოგიური შინაარსის მოთხოვნებით IDFI-მ 2014 წლის ოქტომბერში ასევე მიმართა აჭარის ა/რ-ის მთავრობის აპარატსა და სამინისტროებს, საქართველოში არსებულ სხვადასხვა დამოუკიდებელ და სამინისტროების მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და საქვეუწყებო დაწესებულებებს. კერძოდ, აღნიშნული დაწესებულებებიდან ინსტიტუტის მიერ მოთხოვნილ იქნა შემდეგი სახის ინფორმაცია:

[2] იმ საჯარო დაწესებულებების სრული ჩამონათვალი, რომელთაც წინამდებარე კვლევის ფარგლებში IDFI-იმ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით მიმართა, იხილე დანართის სახით (გვ. 34).

1. ხელმძღვანელის მოქმედი მრჩევლების თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტების ასლები, ასევე ინფორმაცია მათი სამუშაო გამოცდილების (CV) შესახებ;
2. აღნიშნული მრჩევლების სამუშაოს აღწერილობა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობა.

2. კვლევის ფარგლებში მიღებული ზოგიერთი სტატიკური მონაცემი

კვლევის ფარგლებში IDFI-ის მიერ გაგზავნილი მოთხოვნები უპასუხოდ დატოვა ორმა საჯარო დაწესებულებამ - დაცვის პოლიციამ და შსს - ჯანმრთელობის დაცვის სამსახურმა.[3]

სამინისტროებიდან მიღებული პასუხების თანახმად, არც მინისტრს და არც მინისტრის მოადგილეებს, IDFI-ისთვის ინფორმაციის მოწოდებისას, არ ჰყავდათ მრჩევლები შემდეგ სამინისტროებში:

1. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო,
2. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო,
3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო,
4. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო,
5. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო,
6. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი,
7. აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

როგორც ირკვევა, აღნიშნულ სამინისტროებში - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გარდა - მინისტრის მრჩევლებისა და მინისტრის მოადგილეების მრჩევლების თანამდებობები საშტატო ნუსხით გათვალისწინებული არ არის. შინაგან საქმეთა სამინისტროს განმარტებით, შინაგან საქმეთა მინისტრის აპარატში შექმნილია მინისტრის მრჩევლის ერთი საშტატო ერთეული, რომელიც 2014 წლის 15 ოქტომბრის მდგომარეობით ვაკანტური იყო.

ამასთან, წინამდებარე კვლევის პერიოდში მინისტრის მოადგილეებიდან მხოლოდ საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილესა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილეს ჰყავდათ მრჩევლები.

IDFI-ისთვის ინფორმაციის მოწოდებისას ასევე არ ჰყავდა მრჩეველი 40 დამოუკიდებელ და სამინისტროების დაქვემდებარებაში მყოფ საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელს.[4]

2014 წლის სექტემბრის მდგომარეობით სამინისტროების საშტატო ნუსხებიდან მინისტრის მრჩევლის ყველაზე მეტ რაოდენობას (შვიდი მრჩეველი) ითვალისწინებდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საშტატო ნუსხა. მინისტრის მრჩევლის

[3] საჯარო დაწესებულებები, რომელებმაც IDFI-ის მიერ გაგზავნილი მოთხოვნები უპასუხოდ დატოვეს ჩამოთვლილია კვლევის დანართში (იხ. გვ. 34)

[4] იმ საჯარო დაწესებულებების ნუსხა, რომელთა ხელმძღვანელებს წინამდებარე კვლევის პერიოდში არ ჰყავდათ მრჩევლები, იხილეთ დანართის სახით (გვ. 34)

ერთით ნაკლები რაოდენობა იყო განსაზღვრული საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საშტატო ნუსხებით. 2015 წლიდან ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მრჩევლის საშტატო ერთეული ათამდე გაიზარდა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მრჩევლის საშტატო ერთეული უცვლელი დარჩა, ხოლო კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის საშტატო ნუსხით განსაზღვრული მრჩეველთა რაოდენობა განახევრდა. სხვა სამინისტროების შემთხვევაში მინისტრის მრჩეველთა საშტატო ერთეული როგორც 2014 წლის სექტემბრის, ასევე 2015 წლის იანვრის მონაცემებით ერთიდან ოთხამდე მერყეობს.[5]

ჩვენი კვლევის ინტერესში მოქცეული დამოუკიდებელი და სამინისტროების დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირების/საქვეუწყებო დაწესებულებების[6] ხელმძღვანელთაგან 2014 წლის ნოემბრის მდგომარეობით ყველაზე მეტი მრჩეველი (ოთხი მრჩეველი) ჰყავთ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის, საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ხელმძღვანელებს. ოთხი მრჩეველი ჰყავს ასევე აჭარის ა/რ მთავრობის თავმჯდომარეს. სხვა საჯარო დაწესებულებების შემთხვევაში ხელმძღვანელ პირებს მეტწილად ერთი მრჩეველი ჰყავთ.[7]

რაც შეეხება მრჩეველთა თანამდებობრივ სარგოებს, მინისტრის/მინისტრის მოადგილეების მრჩევლებიდან 2014 წლის 25 სექტემბრის მდგომარეობით ყველაზე მაღალი ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო - 2 550 ლარი - თავდაცვის მინისტრის მრჩეველს ჰქონდა. მასზე ცოტათი ნაკლები ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო - 2 500 ლარი - ჰქონდა ევროინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მთავარ მრჩეველს, სხვა მინისტრის/მინისტრის მოადგილეების მრჩეველთა თანამდებობრივი სარგო 1 180 ლარიდან 1 900 ლარამდენ მერყეობდა.

2015 წლისთვის დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში შეიქმნა მინისტრის მთავარი მრჩევლის ერთი საშტატო ერთეული, მანამდე არსებული მინისტრის მრჩევლის ოთხი საშტატო ერთეულიდან ერთ-ერთის გაუქმების ხარჯზე. აღნიშნული მთავარი მრჩევლის ყოველთვიურ თანამდებობრივ სარგოდ განისაზღვრა 2 000 ლარი. ცენტრალურ ხელისუფლებას დაქვემდებარებული სხვა მინისტრის/მინისტრის მოადგილეების მრჩევლების თანამდებობრივი სარგო 2015 წლის იანვრის მონაცემებით იგივე დარჩა, რაც 2014 წლის სექტემბრისთვის იყო.[8]

---

[5] 2015 წლისთვის თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების საშტატო ნუსხებში ცვლილება შევიდა თუ არა IDFI-ისთვის არ არის ცნობილი. მინისტრის მრჩევლების რაოდენობასთან დაკავშირებით იხლეთ დანართი (გვ. 34).

[6] საჯარო დაწესებულებების მონაცემები, რომლებმაც მრჩევლებთან დაკავშირებით IDFI-ის მოთხოვნები უპასუხოდ დატოვეს, კვლევაში ასახული არ არის.

[7] დამოუკიდებელი და სამინისტროებს დაქვემდებარებული სსიპ-ების ხელმძღვანელების მრჩეველთა რაოდენობის შესახებ იხილეთ დანართი (გვ. 34).

[8] მინისტრების/მინისტრების მოადგილეების მრჩეველთა თანამდებობრივი სარგოს შესახებ იხილე დანართი (გვ. 34).

როგორც ირკვევა, 2014 წლის ნოემბრის მდგომარეობით მინისტრების/მინისტრების მოადგილეების მრჩევლების თანამდებობრივ სარგოზე მაღალი თანამდებობრივი სარგო აქვს ზოგერთ დამოუკიდებელ ან სამინისტროს დაქვემდებარებულ სსიპ-ში მრჩევლის თანამდებობაზე დასაქმებულ პირს, მაგალითად საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს, სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოსა და საქპატენტის ხელმძღვანელების მრჩევლებს (იხ. ქვემოთ განთავებული ცხრილი).

სსიპ-ები, სადაც ხემძღვანელთა მრჩევლებს უფრო მაღალი თანამდებობრივი სარგო აქვთ, ვიდრე მინისტრების/მინისტრების მოადგილეების მრჩევლებს (2014 წლის ნოემბრის მდგომარეობით) www.idfi.ge			
	თანამდებობა	**მრჩეველთა რაოდენობა**	**თანამდებობრივი სარგო (ლარებში)**
საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო	სააგენტოს დირექტორის მრჩეველი (შრომითი ხელშეკრულებით)	4	3 150
			3 360
			3 500
			4 000
სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო	სააგენტოს დირექტორის მრჩეველი	2	1 300
			3 400
საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	ფონდის აღმასრულებელი დირექტორის მრჩეველი	1	3 000
		1	4 000
საქპატენტი	თავმჯდომარის მრჩეველი	3	2 350
		1	3 000
კომუნიკაციების ეროვნული კომისია	კომისიის თავმჯდომარის შტატგარეშე მრჩეველი	2	არ გასაჯაროვდა
საქართველოს ეროვნული ბანკი	ბანკის პრეზიდენტის მრჩეველი	4	არ გასაჯაროვდა

ხელმძღვანელის მრჩეველების თანამდებობრივი სარგოს შესახებ ინფორმაცია IDFI-ის არ მოაწოდეს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა და კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ.

კვლევის ინტერესში მოქცეული საჯარო დაწესებულებების (იმ საჯარო დაწესებულებების გარდა, რომლებმაც IDFI-ის მრჩევლის თანამდებობრივი სარგოს შესახებ ინფორმაცია არ მოაწოდეს) ხელმძღვანელების მრჩევლებიდან 2014 წლის ნოემბრის მდგომარეობით ყველაზე მაღალ ყოველთვიურ თანამდებობრივ სარგოს - 4 000 ლარს - იღებენ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის მრჩეველი და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის მრჩეველი.

ყველაზე დაბალი ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს მქონე მრჩევლები არიან აჭარის ა/რ-ის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, სოფლის მეურნეობის მინისტრისა და ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მრჩევლები. თითოეული მათგანის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო 2014 წლის დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 970 ლარს.[9]

3. კვლევის შედეგად გამოვლენილი ფაქტები, ძირითად ტენდენციები და პრობლემურ საკითხები

3.1. მრჩევლების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების არაერთგვაროვანი პრაქტიკა

წინამდებარე კვლევის ფარგლებში IDFI-ის მიერ საჯარო დაწესებულებებიდან მოთხოვნილი ინფორმაცია ხშირ შემთხვევაში არასრულყოფილი სახით იქნა მოწოდებული. ყველაზე პრობლემური აღმოჩნდა საჯარო დაწესებულებებიდან მრჩევლების სამუშაო გამოცდილების (CV) შესახებ ინფორმაციის მოწოდება, თუმცა რიგ შემთხვევებში ასევე არ გასაჯაროვდა მრჩევლების ვინაობა, მათი დანიშვნის შესახებ სამართლებრივი აქტები ან/და თანამდებობრივი სარგოს ოდენობა. მაგალითად, ხელმძღვანელის მრჩევლის/მრჩევლების CV-ები IDFI-ის არ მოაწოდეს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, იუსტიციის სამინისტრომ, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ და სხვ. მრჩევლების ვინაობა და მათი დანიშვნის შესახებ სამართლებრივი აქტები (ასევე CV-ები) არ გაასაჯაროვეს თავდაცვის და მეცნიერებისა და განათლების სამინისტრომ, ხოლო მრჩეველთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობა - შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა.

მრჩევლების თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ სამართლებრივი აქტების, მრჩევლების CV-ების, მათი თანამდებობრივი სარგოს ან/და პრემია/დანამატის შესახებ ინფორმაციის არმოწოდების საფუძვლად საჯარო დაწესებულებებმა, ხშირ შემთხვევაში, აღნიშნულ დოკუმენტებში პირადი მონაცემების არსებობა და მათ გაცემაზე მრჩევლის პოსტზე მყოფი პირების თანხმობის არარსებობა დაასახელეს. ვინაიდან მრჩეველი არ წარმოადგენს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით[10] გათვალისწინებულ „თანამდებობის პირს“, საჯარო დაწესებულებას არ აქვს უფლება მრჩევლის თანხმობის გარეშე გასცეს მის პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია. კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის თანახმად:

„საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში -

[9] სსიპ-ების ხელმძღვანელების მრჩეველთა, ასევე აჭარის ა/რ-ის მთავრობის თავჯდომარის მრჩევლისა და მინისტრების მრჩევლების თანამდებობრივ სარგოსთან დაკავშირებით იხილეთ დანართი (გვ. 34)

[10] „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი მე-2 (http://bit.ly/1Mmjt5k - 10.03.2015)

სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემების გარდა.“[11]

ამასთან, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ პუნქტი მონაცემთა დამუშავების უფლებას იძლევა, თუ არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა.

აღსანიშნავია, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ზემოხსენებული მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემთა დამუშავება ასევე დასაშვებია თუ კანონის თანახმად, მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა ისინი ხელმისაწვდომი გახადა.[12]

წინამდებარე კვლევის ფარგლებში ირკვევა, რომ მრჩევლის თანამდებობაზე მყოფი (ან ყოფილი) ზოგიერთი პირის შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია, მაშინ, როცა შესაბამისმა საჯარო დაწესებულებამ მის შესახებ მოთხოვნილი ინფორმაციის მოწოდებაზე IDFI-ის უარი განუცხადა. მაგალითად:

ზემოაღნიშნული მიზეზით შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ IDFI-ის არ მოაწოდა მინისტრის მრჩევლების CV-ები, თუმცა ინტერნეტში განთავსებულია ინფორმაცია რამდენიმე მათგანის სამუშაო გამოცდილების შესახებ. მაგალითად, ინტერნეტწყაროებიდან ირკვევა, რომ ჯანდაცვის მინისტრის მრჩეველი (2014 წლის 24 სექტემბრის მდგომარეობით), ნოე ქინქლაძე[13] 2013 წლის თებერვლიდან იყო სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორი, უფრო ადრე კი იგი ყოფილი პრემიერ მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის კომპანიებში მუშაობდა (2004-2005 წლებში იყო შპს „ბურჯის“ მთავარი ეკონომისტი, 2005-2006 წლბეში - სს „ქართუ ჯგუფის“ ფინანსური დირექტორის მოადგილე, 2006-2012 წლებში კი - შპს „ბურჯის“ დირექტორი.)[14] ასევე ინტერნეტში განთავსებული ინფორმაციით ირკვევა, რომ ჯანდაცვის მინისტრის მეორე მრჩეველი (2014 წლის 24 სექტემბრის მდგომარეობით), კახაბერ საკანდელიძე დასაქმების ყოფილი სახელმწიფო მინისტრი[15] და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილეა[16].

როგორც აღინიშნა, IDFI-ის მინისტრის მრჩევლების CV-ების მოწოდებაზე უარი განუცხადეს თავდაცვის და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებმა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიზეზით. ორივე უწყებამ ასევე არ გაასაჯაროვა მრჩევლების ვინაობა და მათი დანიშვნის შესახებ სამართლებრივი აქტები (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მრჩევლის თანამდებობრივი სარგოც).

[11] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 44-ე მუხლი (http://bit.ly/1EX2oxG - 10.03.2015)
[12] საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ, მუხლი მე-5, „ა“ და „ვ“ პუნქტები
[13] https://www.youtube.com/watch?v=58T6xYh1iEs (18.12.2014)
[14] http://www.netgazeti.ge/GE/105/News/16668/ (14.01.2015)
[15] https://declaration.gov.ge/declaration/45277 (14.01.2015)
[16] http://bit.ly/19tGPrO (14.01.2015)

თავდაცვის სამინისტრომ არ ისურვა მინისტრის მრჩეველის ვინაობის გამხელა, თუმცა თავად სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციიდან ჩანს, რომ წინამდებარე კვლევის პერიოდში მინისტრის ერთ-ერთი მრჩეველი პაატა პატიაშვილია.[17] ამასთან, 2012-2014 წლებში პატიაშვილს შევსებული აქვს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია,[18] საიდანაც ირკვევა, რომ ის თავდაცვის სამინისტროში მინისტრის მრჩეველის თანამდებობის დაკავებამდე ასრულებდა ადმინისტრაციის პროტოკოლის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობას, უფრო ადრე კი იყო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის თანაშემწე.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მინისტრის მრჩეველის ვინაობა IDFI-ის არ გაუმხილა, თუმცა მინისტრის მრჩეველი, ოთარ აბესაძე თავად არ ასაიდუმლოებს მის აღნიშნულ თანამდებობაზე ყოფნას. იგი ხშირად ჩნდება მინისტრ თამარ სანიკიძესთან ერთად და სხვადასხვა სატელევიზიო გადაცემაში იღებს მონაწილეობას.[19] განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მრჩეველის თანამდებობაზე აბესაძის ყოფნა თვით აღნიშნული სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციითაც დასტურდება.[20] ამასთან, იგი იყო კოალიცია „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელი;[21] მუშაობდა შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციაში განყოფილების უფროსად, რის შემდეგაც მან განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მრჩეველის თანამდებობა დაიკავა.[22]

იმ მოტივით, რომ მინისტრის მრჩეველების შესახებ მონაცემები არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმაც IDFI-ს უარი განუცხადა მრჩეველების დანიშვნის შესახებ ბრძანებებისა და მრჩეველების CV-ის მოწოდებაზე. მიუხედავად სახელმწიფო მინისტრის აპარატის ამგვარი განცხადებისა, სახელმწიფო მინისტრის რამდენიმე მრჩეველის შესახებ ინფორმაცია, სხვა ზემოთ მოყვანილი მაგალითების მსგავსად, ინტერნეტში მოიძებნა.

ვინაიდან პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ კანონის თანახმად, მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა ისინი ხელმისაწვდომი გახადა, IDFI-მ დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის უარი მრჩეველების შესახებ ინფორმაციის მოწოდებაზე ადმინისტრაციული წესით გაასაჩივრა. მოგვიანებით სახელმწიფო მინისტრის აპარატმა მრჩეველების დანიშვნის შესახებ ბრძანებები გაასაჯაროვა.

ადმინისტრაციული წესით გასაჩივრდა ასევე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მხრიდან მრჩეველებთან დაკავშირებით IDFI-ის მოთხოვნის

[17] http://www.mod.gov.ge/?newsid=3072 (14.01.2015); https://www.youtube.com/watch?v=NCiMzKMqqww (15.01.2015)
[18] https://declaration.gov.ge/declaration/947380; https://declaration.gov.ge/declaration/48401; https://declaration.gov.ge/declaration.php?id=44121 (12.03.2015)
[19] https://www.youtube.com/watch?v=LayK8AbEDAE (10.12.2014)
[20] http://www.mes.gov.ge/content.php?t=srch&search=აბესაძე&id=5243&lang=geo (17.11.2014)
[21] https://www.youtube.com/watch?v=-7pU5rW2fJw (20.12.2014)
[22] http://bit.ly/1wu9Y0d (17.11.2014)

უპასუხოდ დატოვება. ზეპირ მოსმენაზე სამინისტრომ IDFI-ის დაშტრიხული სახით გადასცა 2013-2014 წლებში მინისტრის მრჩევლების დანიშვნაზე ბრძანებების ასლები და ინფორმაცია მათი სამუშაო გამოცდილების შესახებ (CV-ები), ხოლო მათთვის დარიცხრული პრემიისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობა ჯამური სახით გამოაგზავნა. ასევე დაშტრიხული სახით იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მრჩევლის თანამდებობაზე 2011-2013 წლებში მყოფი პირების შესახებ.

მრჩეველთა შესახებ ინფორმაცია დაშტრიხული სახით წარმოადგინა ენერგეტიკის სამინისტრომაც.

მრჩეველთა საბჭოს ყველა წევრის ვინაობა IDFI-ის აცნობა, თუმცა მათი დანიშვნის შესახებ ბრძანებები და მათი CV-ები არ მოაწოდა ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ. ამასთან, მრჩევლების თანამდებობრივი სარგოს ოდენობა კომისიამ ინსტიტუტს პირთა იდენტიფიცირების გარეშე აცნობა.

მინისტრის მრჩევლების თანამდებობრივი სარგოს ოდენობა არ გაასაჯაროვა, თუმცა უარი არ უთქვამს მრჩევლებზე გაცემული პრემიების შესახებ ინფორმაციის მოწოდებაზე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე საჯარო დაწესებულებას ხელმძვანელის მრჩევლის/მრჩევლების ვინაობა საკუთარ ვებ-გვერდზე აქვს გამოქვეყნებული, რაც დადებით ფაქტად შეიძლება შეფასდეს. მრჩეველთა ვინაობა საკუთარ ვებ-გვერდზე აქვს გამოქვეყნებული მაგალითად, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტრებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს, ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას და სხვ.

ზემოთ მოყვანილი მაგალითები ცხადყოფენ, რომ არაერთგვაროვანი მიდგომა არსებობს მრჩევლების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებასთან დაკავშირებით, რაც შესაძლოა განპირობებული იყოს არსებული ხარვეზების დაფარვის მცდელობით. ვფიქრობთ, რომ კანონის განსხვავებული ინტერპრეტაციის მიუხედავად, საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირთა შესახებ ზოგადი ინფორმაცია (მათი ვინაობა, ანაზღაურებისა და სამუშაო გამოცდილების შესახებ მონაცემები) არ უნდა იყოს საიდუმლო და არ უნდა განიხილებოდეს პერსონალურ მონაცემებად. საზოგადოებას უნდა ჰქონდეს წვდომა აღნიშნულ ინფორმაციაზე პირველ რიგში იმიტომ, რომ მოხდეს ნეპოტიზმის შემთხვევების პრევენცია, განსაკუთრებით კი ისეთ სამსახურეობრივ პოზიციებზე სადაც დასაქმება საჯარო კონკურსების გარეშე მიმდინარეობს. აღსანიშნავია, აგრეთვე ის გარემოებაც, რომ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ საქართველოს მთავრობის 2013 წლის დადგენილებით ყველა სამინისტრო ვალდებულია გამოაქვეყნოს კონკურსებში გამარჯვებულ პირთა ვინაობა, შესაბამისად გაუგებარი რჩება რატომ იფარება კონკურსის-გარეშე დასაქმებულ პირთა შესახებ მონაცემები.

3.2. მრჩეველთა ფუნქცია-მოვალეობები

წინამდებარე კვლევის ფარგლებში მიღებული საჯარო ინფორმაციის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ საქართველოში **არ არსებობს ერთიანი სტანდარტი, საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულ მრჩეველთა ფუნქცია-მოვალეობების განსასაზღვრად.** მათი საქმიანობა, იმ სამინისტროებიდან, რომელთა საშტატო ნუსხა მინისტრის მრჩეველის ან მინისტრის მოადგილის მრჩეველის თანამდებობას ითვალისწინებს, საკუთარ დებულებაში მხოლოდ დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს აქვს განსაზღვრული. აღნიშნული უწყების დებულების მე-5 მუხლის თანახმად:

1. *„სახელმწიფო მინისტრის უფროსი მრჩეველი ამზადებს ინფორმაციას სოციალურ-ეკონომიკურ და საინვესტიციო სფეროებში ქართული დიასპორის საქმიანობისა და პრობლემების შესახებ, ასევე, სახელმწიფო მინისტრის დავალებით ხელმძღვანელობს აპარატის საქმიანობის ცალკეული მიმართულებების მიხედვით შექმნილ სამუშაო ჯგუფებს.*
2. *სახელმწიფო მინისტრის მრჩეველები ამზადებენ ინფორმაციას ქართულ დიასპორაში განათლებისა და მეცნიერების, სპორტისა და ახალგაზრდობის, კულტურისა და საზღვარგარეთ ეროვნული მემკვიდრეობის სფეროში საქმიანობისა და პრობლემების შესახებ.“*[23]

კვლევამ გამოავლინა **შემთხვევები, როცა საჯარო დაწესებულებაში საშტატო ნუსხით გათვალისწინებული მრჩეველის თანამდებობა დაკავებულია, თუმცა მრჩეველის სამუშაო აღწერილობა განსაზღვრული არ არის.** მაგალითად:

2015 წლის 26 იანვრის მდგომარეობით აჭარის ა/რ-ის მთავრობის თავმჯდომარეს ოთხი მრჩეველი ჰყავს. ისინი მრჩეველის თანამდებობაზე 2013-2014 წლებში დაინიშნენ. მიუხედავად ამისა აჭარის ა/რ-ის მთავრობის აპარატის განმარტებით, აჭარის ა/რ-ის მთავრობის თავმჯდომარის მრჩეველის სამუშაო აღწერილობა განსაზღვრული არ არის.

საჯარო უწყების ხელმძღვანელის მრჩეველის სამუშაო აღწერილობა 2014 წლის 18 სექტემბრის მდგომარეობით დამტკიცებული არ არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროშიც. სამინისტროს განმარტებით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მრჩეველების სამუშაო აღწერილობა არ არის დამტკიცებული, რადგან „მინისტრის თითოეული მრჩეველი, საქმიანობის შინაარსიდან გამომდინარე, ყოველ ჯერზე ასრულებს მინისტრის კონკრეტულ დავალებას დასმული ამოცანების მიხედვით, კონკრეტულ სფეროში.“

[23] http://diaspora.gov.ge/nd/wp-content/uploads/2015/01/დიასპორის-დებულება.pdf (14.02.2015)

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0108 თბილისი, ჭანტურიას ქ. N12
12, G. Chanturia str., 0108 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05; 2 99 11 11
Fax.: (+995 32) 2 921534

№ 08/8010

10 / ნოემბერი / 2014 წ.

ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

თქვენს 2014 წლის 30 ოქტომბრის №OPD10/14-010 განცხადებასთან (სამინისტროს რეგისტრაციის №22868/11; 31.10.2014წ.) დაკავშირებით სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად გაცნობებთ:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში არ არსებობს მინისტრის მოადგილის მრჩევლის თანამდებობა. რაც შეეხება მინისტრის მრჩევლების სამუშაოს აღწერილობებს, არ არის დამტკიცებული, ვინაიდან მინისტრის თითოეული მრჩეველი, საქმიანობის შინაარსიდან გამომდინარე, ყოველ ჯერზე ასრულებს მინისტრის კონკრეტულ დავალებას დასმული ამოცანების მიხედვით, კონკრეტულ სფეროში.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მსგავსად, მინისტრის მრჩევლების სამუშაო აღწერილობა 2014 წლის 6 ნოემბრის მდგომარეობით დამტკიცებული არ აქვს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსაც.

მსგავსი მდგომარეობაა საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურშიც. როგორც ირკვევა, გენერალური აუდიტორის მთავარი მრჩეველისა და მრჩევლის სამუშაო კონკრეტული აღწერილობა არ არსებობს, რადგან ისინი გენერალური აუდიტორის მიერ გაცემულ დავალებებს ასრულებენ.

საქართველო
სახელმწიფო აუდიტის სამსახური

№ 454/26
„13" 11 2014

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების
ინსტიტუტის დირექტორს
ბატონ გიორგი კლდიაშვილს

ბატონო გიორგი,

თქვენი 2014 წლის 3 ნოემბრის №OPD011/14-022 განცხადების (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგისტრაციის ნომერი და თარიღი: №247/25; 07.11.2014) პასუხად, რომლითაც ითხოვთ სხვადასხვა სახის საჯარო ინფორმაციას, გაცნობებთ შემდეგს:

1. გენერალური აუდიტორის მთავარი მრჩევლის თანამდებობრივი სარგო შეადგენს 2200 ლარს, ხოლო მრჩევლის - 2000 ლარს.
2. გენერალური აუდიტორის მთავარი მრჩევლისა და მრჩევლის კონკრეტული სამუშაო აღწერილობა არ არსებობს, ვინაიდან მათი ვალდებულებაა შეასრულონ გენერალური აუდიტორის მიერ გაცემული დავალებები.
3. რაც შეეხება სამსახურში დასაქმებულ შტატგარეშე მოსამსახურეებს: 2014 წლის 10 ნოემბრის

სამინისტროებიდან მიღებული მინისტრის/მინისტრის მოადგილის მრჩევლის სამუშაო აღწერილობების ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ **რიგ სამინისტროებში მინისტრის მრჩეველს იგივე ფუნქცია აკისრია, რის შესასრულებლადაც ამავე უწყებაში ცალკე დეპარტამენტია შექმნილი.** მაგალითად:

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ერთ-ერთი მრჩევლის მოვალეობებში შედის:

- საზოგადოებასთან ურთიერთობის პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავების ხელშეწყობა;
- კომპეტენციის ფარგლებში სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან სამინისტროს ურთიერთობის კოორდინაცია;
- სამინისტროს მიერ განხორციელებული პროექტების ბრენდირება (ბრენდინგი);
- სამინისტროს საკომუნიკაციო გეგმის კოორდინაცია;
- სამინისტროს ოფიციალური შეხვედრების, ოფიციალური და სამუშაო ვიზიტების ორგანიზება/მომზადება-გამართვა და სხვ.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში ცალკე არის შექმნილი საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, რომლის ამოცანები თითქმის იდენტურია მინისტრის ერთ-ერთი მრჩევლის მოვალეობებთან. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულების (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის № 98 დადგენილება) თანახმად,[24] საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ერთ-ერთი ამოცანაა „საზოგადოების ინფორმირება სამინისტროს საქმიანობისა და გარემოსდაცვით სფეროში მისაღები გადაწყვეტილებების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში დაინტერესებულ პირებთან შესაბამისი შეხვედრების ორგანიზება“.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროშიც ფუნქციონირებს საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტი. სამინისტროს დებულების თანახმად აღნიშნული დეპარტამენტის მოვალეობებში შედის:

- მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან მინისტრისა და სამინისტროს ურთიერთობის უზრუნველყოფა და ხელშეწყობა;
- საზოგადოების ინფორმირება სამინისტროს საქმიანობის თაობაზე;
- ბრიფინგებისა და სამინისტროს ვებგვერდის საინფორმაციო უზრუნველყოფა და ორგანიზება;
- სამინისტროს განცხადებებისა და სხვა საინფორმაციო ხასიათის დოკუმენტების მომზადება-გავრცელება.[25]

[24] http://bit.ly/1wkfjEY
[25] http://www.mra.gov.ge/geo/static/197

მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროში საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ზემოთ ჩამოთვლილი მოვალეობები აკისრია, ზუსტად იგივე ფუნქცია-მოვალეობები აქვს მინისტრის ერთ-ერთ მრჩეველსაც.

არის შემთხვევები, როდესაც საჯარო დაწესებულებაში მრჩევლების ფუნქცია-მოვალეობები საერთო ან/და ძალიან ზოგადია ყველა მრჩევლისთვის. მაგალითად:

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს 2014 წლის 26 სექტემბრის მდგომარეობით სამი მრჩეველი ჰყავს. სამივე მათგანს კონსულტაციის გაწევასთან ერთად ევალება ისეთი ზოგადი ფუნქციების შესრულება, როგორიცაა სამინისტროს საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა, ახალი ინიციატივების წარმოჩენა, სამინისტროს მიერ განხორციელებულ ღონისძიებებზე დასწრება ან *საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებაზე მუდმივად ზრუნვა*. აქვე, თვალშისაცემია ფუნქციათა შორის **„საკუთარ კვალიფიკაციის ამაღლებაზე მუდმივად ზრუნვის“** ფუნქციის მოქცევაც, რაც გაურკვევლობას იწვევს, რამდენადაც აღნიშნული ფუნქცია (თუმცა არა საკუთარ კვალიფიკაციაზე არამედ სრულიად პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვის ფუნქცია) წარმოადგენს ადამიანური რესურსების დეპარტამენტის/სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციას. აქედან, შეუსაბამოა მრჩეველს დაკისრებული ჰქონდეს საკუთარ პროფესიულ ზრდაზე ზრუნვის ფუნქცია. **მსგავსი ჩანაწერი სავარაუდოდ აღნიშნული პირების სასწავლო მივლინებებში შეუზღუდავად სიარულის გამართლების საშუალებას წარმოადგენს**.

ძალიან ზოგადი და სამინისტროს საქმიანობის თითქმის ყველა კომპონენტის მომცველია სოფლის მეურნეობის მინისტრის მრჩევლებისა და მინისტრის პირველი მოადგილის მრჩევლის ფუნქცია-მოვალეობები. როგორც ირკვევა 2014 წლის 19 სექტემბრის მდგომარეობით სოფლის მეურნეობის მინისტრს სამი მრჩეველი ჰყავს, **მის პირველ მოადგილეს კი - ერთი**. 2014 წლის 11 ნოემბერს სამინისტროდან IDFI-ისთვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, როგორც მინისტრის მრჩევლების, ასევე მინისტრის პირველი მოადგილის მრჩევლის ფუნქცია-მოვალეობებია:

- აგრარული პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;
- სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის შემუშავება და პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის ხელშეწყობა;
- მცირე ბიზნესის განვითარების პროექტების შემუშავებაში უშუალო მონაწილეობა;
- ცოდნის, კრედიტებისა და მაღალ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- დარგობრივი განვითარების პროგრამების შემუშავებაში უშუალო მონაწილეობა;
- სასოფლო - სამეურნეო წარმოების ხელშეწყობის ეკონომიკური მექანიზმებისა და რეგლამენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- სასოფლო-სამეურნეო ლიზინგით უზრუნველყოფის ხელშეწყობა;
- აგრარული მეცნიერების განვითარებაში მონაწილეობის მიღება;
- სამინისტროს შიდა სტრუქტურის სრულყოფა;
- DCFT-ს ფარგლებში აღებული ვალდებულებების ფარგლებში გეგმებისა და ღონისძიებების შესახებ რეკომენდაციების შემუშავება;

- ელექტრონული სისტემების დანერგვა;
- მომსახურების ხარისხის ამაღლებისთვის რეკომენდაციების შემუშავება.

აღნიშნული ფუნქციებიდან ინტერესს იწვევს **ცოდნის, კრედიტებისა და მაღალ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ფუნქცია**, რომელიც გაურკვეველია როგორ შეიძლება უზრუნველყოს მრჩეველმა. მსგავსი სიტუაციაა ასევე სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელშეწყობის ეკონომიკური მექანიზმებისა და რეგლამენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ფუქციასთან დაკავშირებითაც.

როგორც უკვე აღინიშნა, წინამდებარე კვლევის პერიოდში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარდა, მინისტრის მოადგილის მრჩეველები მუშაობდნენ თავდაცვის სამინისტროშიც. კერძოდ, 2014 წლის 25 სექტემბრის მდგომარეობით თავდაცვის მინისტრის მოადგილის მრჩევლად მუშაობდა ორი პირი. სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, თავდაცვის მინისტრის მოადგილის მრჩევლის ფუნქცია-მოვალეობში შედის:

- შესაბამის სფეროში მინისტრის მოადგილისთვის წინადადებების და რეკომენდაციები მომზადება;
- სამინისტროს სახელით ღონისძიებების დაგეგმვაში მონაწილეობის მიღება;
- სისტემის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ცვლილებების ინიცირებაში მონაწილეობის მიღება;
- მინისტრის მოადგილისა და უშუალო უფროსის მიერ დაკისრებული სხვა დავალებების შესრულების ხელმძღვანელობა და კონტროლი;
- უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობა (დამატებითი ფუნქცია);
- ოფიციალურ ვიზიტებში, კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობა (დამატებითი ფუნქცია).

წინამდებარე კვლევამ ასევე აჩვენა, რომ **რიგ შემთხვევებში მრჩევლის ფუნქციები გადაზრდილია ტექნიკური პერსონალის ფუნქციებში,** რაც საჯარო დაწესებულების რესურსების არაეფექტურ გამოყენებაზე მიანიშნებს. მაგალითისთვის, აჭარის ა/რ-ის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მრჩევლის ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობის დარგში ფუნქცია-მოვალეობებია სამინისტროს წარმომადგენლობის უზრუნველყოფა სხვადასხვა ორგანოებთან და მინისტრის შეხვედრების ორგანიზება თანამდებობის პირებთან. IDFI-ის მოსაზრებით მინისტრის შეხვედრების ორგანიზება თანამდებობის პირებთან, შესაძლებელია წარმატებით განახორციელოს პროტოკოლის დეპარტამენტმა. ასევე, გაურკვეველია რატომ არის მრჩევლის ფუნქცია სამინისტროს წარმოდგენა სხვადასხვა ორგანოებთან.

ზოგიერთ საჯარო დაწესებულებაში მრჩევლები, ამათუიმ სფეროს ექსპერტის საქმიანობის ნაცვლად, საორგანიზაციო საკითხების განხორციელებაში არიან ჩართულნი და რეალურად ან/და ნაწილობრივ თანაშემწის მოვალეობას ასრულებენ. მაგალითად, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის თავმჯდომარის მრჩევლის ერთ-ერთი ფუნქციაა საქპატენტის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების ორგანიზაციული უზრუნველყოფა,

ასევე მოქალაქეთა მიღების ორგანიზება, საკითხების გადასაწყვეტად სათანადო კონსულტაცია-განმარტებების მიცემა კომპეტენციის ფარგლებში. სამედიცინო მედიაციის სამსახურის მრჩევლის ერთ-ერთი ფუნქციაა (სხვა ფუნქცია-მოვალეობებთან ერთად) სამსახურის შიდა მოხმარებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოებისა თუ ტექნიკური დოკუმენტების რევიზია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთის განვითარებული ქვეყნების პრაქტიკის მიხედვით, მრჩევლები ექსპერტულ ფუნქციას ასრულებენ იმ მიმართულებით, რაშიც შესაძლოა ხელმძღვანელს არ ჰქონდეს სპეციფიკური ცოდნა და კვალიფიკაცია, თუმცა აუცილებელია მისი უფლებამოსილების განხორციელებისა და გადაწყვეტილების მიღების ხარისხის უზრუნველსაყოფად. ამასთან, მინისტრის თითოეული მრჩევლის ფუნქცია-მოვალეობები და სამუშაო მიმართულებები მკვეთრად არის გამიჯნული ერთმანეთისგან, რაც, როგორც ჩანს, საქართველოში ნაკლებად გავრცელებული პრაქტიკაა.

3.3. კვლევის შედეგად გამოვლენილი ზოგიერთი ფაქტი

ზემოთ განხილული პრობლემებისა და მაგალითების გარდა, წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოვლინდა კიდევ რამდენიმე ფაქტი, რომლის ანალიზის შედეგად შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის მრჩევლის პოზიციას რიგ შემთხვევებში მცირე სამუშაო გამოცდილების მქონე ან ნაკლებად კომპეტენტური პირები იკავებდნენ. რთულია იმ კრიტერიუმების განსაზღვრა, თუ რა ნიშნით შეირჩევიან ისინი მრჩევლებად, რაც ბადებს ნეპოტიზმის საფუძვლიან ეჭვს. მაგალითად, **გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროდან** IDFI-ისთვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მინისტრმა, ელგუჯა ხოკრიშვილმა მრჩევლებად 2014 წლის ივლისა და სექტემბერში სამი პირი დანიშნა. სამივე მათგანი მანამდე, მუშაობდა რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში ასევე მინისტრის მრჩევლის თანამდებობაზე, სწორედ იმ პერიოდში, როცა აღნიშნულ უწყებას თავად ელგუჯა ხოკრიშვილი ხელმძღვანელობდა. ამასთან, აღნიშნული მრჩევლებიდან ერთ-ერთი, 2013 წელს ეკონომიკისა და ბიზნესის საბაკალავრო პროგრამის დამთავრების შემდეგ, დასაქმებული იყო საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში, სადაც ელგუჯა ხოკრიშვილი აღმასრულებელი დირექტორის პოზიციას იკავებდა.

2014 წლის 25 სექტემბრის მდგომარეობით, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მრჩევლის თანამდებობაზე მყოფი ზემოაღნიშნული პირებიდან ერთ-ერთი პირი მინისტრის მრჩევლობის პარალელურად სწავლობდა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) საერთაშორისო სამართლის სამაგიტრო პროგრამაზე, ხოლო მეორე - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის სამაგისტრო პროგარამაზე; მინისტრის მესამე მრჩეველმა კი 2014 წელს დაამთავრა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა.

მინისტრ ხოკრიშვილის ერთ-ერთი ზემოაღნიშნული მრჩეველი 1990 წელსაა დაბადებული, მეორე მრჩეველი კი - 1991 წელს. შესაბამისად, მათ 24 და 23 წლის ასაკში უკვე ორ უწყებაში მოასწრეს მინისტრის მრჩევლობა.

აღსანიშნავია, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის[26] თანახმად, მინისტრის მრჩეველი ინიშნება კონკურსის გარეშე მინისტრის უფლებამოსილების ვადით. შესაბამისად, თავად მინისტრი საკუთარი ნება-სურვილით ირჩევს და ნიშნავს თავის მრჩეველს. თუმცა, სწორედ აქ ჩნდება კითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ რა მოვალეობებს უნდა ასრულებდეს მინისტრის მრჩეველი, უნდა იყოს თუ არა ის ექსპერტი რაიმე კონკრეტულ სფეროში/საკითხში და დაეხმაროს მაღალ თანამდებობის პირს პოლიტიკის დაგეგმვა-განხორციელებაში, თუ რეალურად ასრულებდეს მხოლოდ მინისტრის თანაშემწის მოვალეობებს, მაშინ როდესაც აღნიშნული ფუნქციების განმახორციელებელი პოზიციები ისედაც განსაზღვრულია სამინისტროს საშტატო ნუსხით.

მინისტრის მრჩევლების კონკურსის გარეშე მინისტრის უფლებამოსილების ვადით დანიშვნის შედეგია ის, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ IDFI-ის **2013-2014 წლებში მინისტრის მრჩევლის თანამდებობაზე მყოფი 19 პირის CV წარუდგინა**.[27] 2013-2014 წლებში რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ სამი მინისტრი გამოიცვალა. აღნიშნულ პერიოდში უწყებას ჯერ დავით ნარმანია ხელმძღვანელობდა, შემდეგ კი - ელგუჯა ხოკრიშვილი. მოგვიანებით ხოკრიშვილი გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრად გადაიყვანეს, მისი პოსტი კი დავით შავლიაშვილმა ჩაიბარა. მინისტრების ცვლილებასთან ერთად იცვლებოდნენ მათი მრჩევლებიც, რაც სამინისტროდან IDFI-სთვის მოწოდებული დოკუმენტაციიდანაც ჩანს.

როგორც უკვე აღინიშნა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ IDFI-ის მინისტრის მრჩევლების CV-ები დაშტრიხული სახით წარუდგინა. მიუხედავად ამისა, აღნიშნული პირების დიდი ნაწილის იდენტიფიცირება შესაძლებელია, მაგალითად, მინისტრ დავით შავლიაშვილის მრჩევლის, პროფესიით სტომატოლოგ მაია გვენეტაძის, რომლის შესახებ ინფორმაციაც 2014 წლის 26 ივლისს „ტაბულა“-მ გაავრცელა. „ტაბულა“-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით,[28] მაია გვენეტაძე მინისტრის მრჩევლობის პარალელურად მუშაობდა სტომატოლოგად კლინიკა „სმაილ დენტში“. მაია გვენეტაძის CV-ში[29], რომელიც IDFI-იმ მიიღო, აღნიშნულია, რომ იგი შპს „სმაილ დენტი 2008“-ის ხელმძღვანელი 2001 წლის იანვრიდან 2014 წლის ივლისამდე იყო. თავად კლინიკაში 2014 წლის 26 აგვისტოს ტელეკომპანია „მაესტროს“ დაუდასტურეს, რომ მაია გვენეტაძე მათთან შაბათს მუშაობს.[30] ამასთან, მაია გვენეტაძის განმარტებით, ინფრასტრუქტურის სამინისტროში მის მოვალეობაში შედის საზოგადოებასთან ურთიერთობა, კერძოდ, მინისტრისთვის რჩევების მიცემა შიდა (თანამშრომლებთან ურთიერთობის) და გარე, საზოგადოებასთან ურთიერთობის კუთხით.

[26] http://csb.gov.ge/uploads/28-3____.pdf (23.01.2015)
[27] http://www.opendata.ge/ka/request/41742 (31.03.2015)
[28] http://www.tabula.ge/ge/story/87081-infrastruqturis-ministris-mrcheveli-stomatologiur-klinikashic-mushaobs (18.12.2014)
[29] http://www.opendata.ge/ka/request/41742 (31.03.2015)
[30] https://www.youtube.com/watch?v=5l4XoZDjvCY#t#t=14 (18.12.2014)

აღნიშნულთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ ჩვენთვის მოწოდებული CV-ის მიხედვით, ქალბატონ მაია გვენეტაძეს სტომატოლოგიური კლინიკის ხელმძღვანელობის გარდა, მხოლოდ ექიმ-სტომატოლოგად მუშაობის გამოცდილება აქვს. **შესაბამისად ჩნდება კითხვა, არის თუ არა პროფესიით ექიმი-სტომატოლოგი ინფრასტრუქტურის მინისტრის მრჩევლის თანამდებობისთვის შესაფერისი, თუნდაც საზოგადოებასთან ურთიერთობის კუთხით ან რა ნიშნით შეირჩა იგი აღნიშნული თანამდებობისთვის. როგორც ირკვევა, მაია გვენეტაძე დავით შავლიაშვილისა და მისი ოჯახის მეგობარია, რასაც თავად შავლიაშვილიც ადასტურებს.**[31]

რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან წაროდგენილ დოკუმენტებს შორის მოხვდა საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, **გედევან ფოფხაძის ძმის, ისტორიკოს ბესიკ ფოფხაძის CV**-ც[32]. როგორც ირკვევა, ბესიკ ფოფხაძეს 2013 წელს ინფრასტრუქტურის მინისტრის მრჩეველის თანამდებობა ეკავა, რაც თავად მის მიერ 2014 წლის 1 სექტემბერს შევსებული თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციითაც დასტურდება.[33] ამჟამად იგი ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეა.[34] სამინისტროდან მიღებული CV-ის თანახმად, ბესიკ ფოფხაძე ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ადრეც იყო (2006 წლიდან), 2002-2006 წლებში კი მას ქ. ბორჯომის გამგებელის თანამდებობა ეკავა.

შსს სასაზღვრო პოლიციიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2014 წლის 11 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული უწყების ხელმძღვანელს, ზურაბ გამეზარდაშვილს სამი მრჩეველი ჰყავს, მათ შორის ერთ-ერთი საერთაშორისო საკითხებში. როგორც ირკვევა, საერთაშორისო საკითხებში სასაზღვრო პოლიციის ხელმძღვანელის მრჩევლის თანამდებობას ებრაული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი, **აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძის შვილი, დიმიტრი ჯაველიძე**[35] იკავებს. იგი სასაზღვრო პოლიციაში მრჩევლის თანამდებოაზე 2014 წლის სექტემბერს დაინიშნა, მანამდე კი მხოლოდ ნახევარი წლის მანძილზე (2014 წლის მარტი-სექტემბერი) მუშაობდა ამავე უწყების ადმინისტრაციის (მთავარი სამმართველო) საერთაშორისო-სასაზღვრო თანამშრომლობის სამსახურის წამყვან სპეციალისტად. სასაზღვრო პოლიციაში დასაქმებამდე დიმიტრი ჯაველიძე იყო ოლიმპიური კომიტეტის „სეოკი“-ის ბიბლიოთეკის თანამშრომელი (2013-2014 წლები), საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია „GIOC“-ს ექსპერტი (2002-2003 წლები), გაზეთ „ახალი ერა“-ს პოლიტ. ისტორიის განყოფილების რედაქტორი და გაზეთ „აისი“-ს კომერციული დირექტორი (2003-2007 წლები).[36]

კონკრეტულად რა ფუნქციები აკისრია სასაზღვრო პლიციის ხელმძღვანელის მრჩეველს (საერთაშორისო საკითხებში) წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან არ ჩანს.

[31] https://www.youtube.com/watch?v=5I4XoZDjvCY (21.01.2015)
[32] http://www.opendata.ge/ka/request/41742 (31.03.2015)
[33] https://declaration.gov.ge/declaration/948437 (12.02.2015)
[34] http://www.borjomi.org.ge/portal/alias__Borjomi/lang__ka-GE/tabid__3291/default.aspx (12.02.2015)
[35] ამომრჩეველთა ერთიან სიაში (http://voters.cec.gov.ge/) ელიზბარ ჯაველიძე და დიმიტრი ჯაველიძე ერთ მისამართზე არიან რეგისტრირებულები.
[36] http://opendata.ge/ka/request/41279 (31.03.2015)

დიმიტრი ჯაველიძისგან განსხვავებით, სასაზღვრო პოლიციის ხელმძღვანელის მეორე მრჩეველი, **გიორგი ყურაშვილი წლების მანძილზე მუშაობდა ძალოვან სტრუქტურებში, თუმცა 1989-2004 წლებში, ხოლო 2004 წლიდან 2014 წლამდე იგი დასაქმებული არ ყოფილა.** კერძოდ, სასაზღვრო პოლიციიდან მიღებული დოკუმენტაციის თანახმად, გიორგი ყურაშვილი 1989-2000 წლებში იკავებდა სხვადასხვა თანამდებობას აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში; 2000-2002 წლებში იყო აფხაზეთის ა/რ-ის შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის საორგანიზაციო-ანალიტიკური სამსახურის უფროსი, 2002- 2004 წლებში კი - აფხაზეთის ა/რ-ის შინაგან საქმეთა მინისტრი. **ათწლიანი პაუზის შემდეგ, 2014 წლის მაისში, გიორგი ყურაშვილი სასაზღვრო პოლიციაში სანაპირო დაცვის დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორად (მრჩეველი) დაინიშნა, დაახლოებით თვენახევრის შემდეგ კი ამავე უწყების ხელმძღვანელის მრჩევლი გახდა.**[37]

სასაზღვრო პოლიციის უფროსის, ზურაბ გამეზარდაშვილის მესამე მრჩეველი, ვახტანგ ელგანდაშვილი აღნიშნულ თანამდებობაზე 2013 წლის ნოემბერში დაინიშნა. აღსანიშნავია, რომ იგი სასაზღვრო პოლიციაში დასაქმებამდე, 2013 წლის ივლისიდან ამავე წლის ნოემბრამდე, იყო შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის პირველი მოადგილე[38], სწორედ მაშინ, როცა აღნიშნულ დეპარტამენტს თავად ზურაბ გამეზარდაშვილი ხელმძღვანელობდა. 2013 წლის ნოემბერში ზურაბ გამეზარდაშვილი სასაზღვრო პოლიციის ხელმძღვანელი გახდა[39] და როგორც ჩანს ვახტანგ ელგანდაშვილიც თან წაიყვანა.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2014 წლის სექტემბრიდან საქპატენტის თავმჯდომარის ერთ-ერთი მრჩევლის თანამდებობას პენსიონერი მედეა ჩინჩალაძე იკავებდა, რომელთანაც საქპატენტს დადებული ჰქონდა ვადიანი შრომითი ხელშეკრულება 2015 წლის 6 იანვრის ჩათვლით. როგორც ირკვევა, მედეა ჩინჩალაძე ფილოსოფიის მაგისტრი და ინგლისური ენის მასწავლებელია. იგი პენსიაში 2012 წელს გავიდა, იქამდე კი ასწავლიდა ინგლისურ ენას საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში (1970-2012 წლებში). ზემოხსენებული შრომითი ხელშეკრულების თანახმად მედეა ჩინჩალაძის ფუნქცია იყო საქპატენტის თავმჯდომარისთვის კონსულტაციების გაწევა შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- საქპატენტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების თანამშრომელთა მიერ, დაკისრებული სამსახურებრივი ფუნქციების სრულყოფილად განხორციელების მიზნით, ინგლისურ ენაში ცოდნის ამაღლების კუთხით განსახორციელებელი პროგრამების შემუშავება, პროექტების დაგეგმვა და ორგანიზება;
- საქპატენტის სასწავლო ცენტრის ჩამოყალიბების პროცესში საორგანიზაციო საქმიანობის განხორციელება და კოორდინაცია;
- საგამომცემლო საქმიანობისას თარგმანების კორექტორება.

[37] http://opendata.ge/ka/request/41279 (31.03.2015)
[38] http://opendata.ge/ka/request/41279 (31.03.2015)
[39] http://police.ge/ge/ministry/structure-and-offices/saqartvelos-sasazghvro-politsia?sub=446 (14.02.2015)

არის თუ არა 2012 წელს პენსიაში გასული მედეა ჩინჩალაძე ამჟამად (2015 წლის თებერვალი) ისევ საქპატენტის თავმჯდომარის მრჩეველი წინამდებარე კვლევის ფარგლებში ცნობილი არ არის.

3.4. მრჩევლის თანამდებობაზე გამწესებული შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიცრები უსაფრთხოების საკითხებში (ე.წ. „ოდეერები“)

მრჩევლების სამუშაო გამოცდილებების შესახებ (CV) სამინისტროებიდან IDFI-ისთვის მოწოდებული ინფორმაციისა და მრჩევლის პოზიციაზე მყოფი პირების მიერ შევსებული თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების ანალიზის შედეგად დგინდება, რომ რამდენიმე მრჩეველი შესაძლოა იყოს ე.წ. „ოდეერი“ (ОДР – офицер действующего резерва) ანუ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიცერი უსაფრთხოების საკითხებში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საკუთარი წარმომადგენლების, ე.წ. „ოდეერების“ სახელმწიფო ინსტიტუტებში გამწესების პრაქტიკა საბჭოთა კავშირის დროინდელი გადმონაშთია, რომელსაც როგორც ჩანს, დღემდე აქვს ადგილი საქართველოში. საქრთველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების (დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით[40]) თანახმად შინაგან საქმეთა მინისტრი „განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სახელმწიფო დაწესებულებებსა და ორგანოებში ნიშნავს უსაფრთხოების საკითხთა ოფიცრებს“. აღნიშნული ოფიცრების საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი, მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიტიკური დამუშავება შსს-ს ერთ-ერთი სტრუქტურული ქვედანაყოფის, სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს (დეპარტამენტი) ამოცანას წარმოადგენს.

როგორც ირკვევა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მრჩეველი (2014 წლის სექტემბრის მდგომარეობით) გიორგი მეზვრიშვილი, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მრჩევლები ზურაბ გეგუჩაძე (2014 წლის 26 სექტემბრის მდგომარეობით) და დავით ღონიაშვილი (2014 წლის აგვისტოს მდგომარეობით), ასევე სოფლის მეურნეობის მინისტრის მრჩეველი (2014 წლის 19 ნოემბრის მდგომარეობით) გიორგი უკლება შინაგან საქმეთა სამინისტროში იყვნენ დასაქმებულნი. აღნიშნული დგინდება მათ მიერ ბოლო წლებში შევსებული თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციებიდან.

საგულისხმოა, რომ ზემოხსენებული დეკლარაციები თავად თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.declaration.gov.ge) არ იძებნება და ისინი IDFI-ისთვის ხელმისაწვდომი მხოლოდ მათი საჯარო სამსახურის ბიუროდან გამოთხოვის შემდეგ გახდა. ამასთან, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროდან ინსტიტუტისთვის მოწოდებულ გიორგი მეზვრიშვილის CV-ში[41] შსს-ში მისი მუშაობის შესახებ

[40] http://www.government.gov.ge/files/276_39461_110655_337131213.pdf (გვ. 10; 23)
[41] http://opendata.ge/ka/request/41734 (31.03.2015)

მითითებული არ არის, სხვა ზემოხსენებული პირების CV-ები კი შესაბამისმა სამინისტროებმა არ გაასაჯაროვეს.

გიორგი მეზვრიშვილი გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მრჩევლად 2014 წლის 22 იანვარს დაინიშნა.[42]

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

KA060103534823214

ბრძანება N14

ქ. თბილისი — 22 / იანვარი / 2014 წ.

გიორგი მეზვრიშვილის დანიშვნის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე , 53-ე მუხლების, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის "გ" ქვეპუნქტისა და 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაინიშნოს გიორგი მეზვრიშვილი 2014 წლის 22 იანვრიდან საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის აპარატში მინისტრის მთავარი მრჩევლის თანამდებობაზე.
2. მისი თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს თანახმად საშტატო წესისა.
3. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის მე-12 კმ. №6) მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

მინისტრი — ხათუნა გოგალაძე

მეზვრიშვილის მიერ 2013 წლის 21 ივნისს შევსებული თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციით ირკვევა, რომ იგი დეკლარაციის შევსების პერიოდში იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს (დეპარტამენტი) ოფიცრები უშიშროების საკითხებში სამმართველოს უფროსი. მეზვრიშვილმა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია 2014 წლის 30 ივნისსაც შეავსო, სადაც მის მიერ დაკავებულ თანამდებობად ისევ შსს-ს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს (დეპარტამენტი) ოფიცრები უშიშროების საკითხებში სამმართველოს უფროსი მიუთითა, ხოლო 2013 წლის განმავლობაში აღნიშნულ თანამდებობაზე შესრულებული სამუშაოსთვის მიღებულ შემოსავლად 39 470 ლარი დააფიქსირა.[43]

[42] http://opendata.ge/ka/request/41773 (31.03.2015)
[43] http://opendata.ge/ka/request/41835 (31.03.2015)

საჯარო სამსახურის ბიურო
თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია

სახელი, გვარი: **გიორგი მეზვრიშვილი** #947452

თანამდებობის პირის დეკლარაცია შევსებულია: 30/06/2014

სამსახური, დაკავებული (ყოფილი) თანამდებობა:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, **სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს (დეპარტამენტი) ოფიცრები უშიშროების საკითხებში (მთავარი სამმართველო) სამმართველოს უფროსი**

სამსახურის მისამართი, ტელეფონი: საქართველო, თბილისი, ვ. ფშაველას გამზირი 72,

დაბადების ადგილი, დაბადების თარიღი: საქართველო, თბილისი, 17/11/1964

როგორც ზემოთ მოყვანილი მონაცემებით დგინდება, გიორგი მეზვრიშვილი გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მრჩევლად ყოფნის პარალელულად იყო შსს-ს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს (დეპარტამენტი) ოფიცრები უშიშროების საკითხებში სამმართველოს უფროსი.

ზურაბ გეგუჩაძე კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მრჩევლად 2014 წლის 26 აგვისტოს დაინიშნა. გეგუჩაძის მიერ 2008-2014 წლებში შევსებული თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების თანახმად, იგი 2008-2009 წლებში მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ, უფრო ადრე კი - კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს II სამმართველოს უფროსად. შსს-ში 2010 წლის აპრილში გეგუჩაძე იყო კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, 2011-2012 წლებში სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, ხოლო 2014 წლის 26 თებერვლის მდგომარეობით - სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს (დეპარტამენტი) ოფიცრები უშიშროების საკითხებში (მთავარი სამმართველო) მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე.[44]

საჯარო სამსახურის ბიურო
თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია

სახელი, გვარი: **ზურაბ გეგუჩაძე** #945624

თანამდებობის პირის დეკლარაცია შევსებულია: 26/02/2014

სამსახური, დაკავებული (ყოფილი) თანამდებობა:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, **სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს (დეპარტამენტი) ოფიცრები უშიშროების საკითხებში (მთავარი სამმართველო) მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე**

სამსახურის მისამართი, ტელეფონი: საქართველო, თბილისი, ვ/ფშაველას 72, 2412335

დაბადების ადგილი, დაბადების თარიღი: საქართველო, რუსთავი, 03/08/1967

პირი, რომელმაც ზემოთ ხსენებული დეკლარაციები შეავსო, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ამომრჩეველთა ერთიან სიაში (http://voters.cec.gov.ge/) იძებნება. როგორც IDFI-იმ გაარკვია, ამომრჩეველთა ერთიან სიაში ზურაბ გეგუჩაძის სახელით განთავსებულ ფოტოსურათზე მინისტრის მრჩეველი, გეგუჩაძეა გამოსახული. ყოველივე ზემოაღნიშნულით

[44] http://opendata.ge/ka/request/41828 (31.03.2015)

დასტურდება, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი და კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მრჩეველი ზურაბ გეგუჩაძე ერთი და იგივე პიროვნებაა.

2014 წლის აგვისტოს მდგომარეობით, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს კიდევ ერთი მრჩეველი, **დავით ღონიაშვილი** ჰყავდა. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ IDFI-ის ღონიაშვილის CV-ის გარდა, მინისტრის მრჩევლად მისი დანიშვნის შესახებ ბრძანების ასლიც არ მოაწოდა. სამინისტროდან მიღებული დოკუმენტებით ირკვევა მხოლოდ ის, რომ მინისტრის მრჩევლის პოზიციაზე ღონიაშვილს 2014 წლის მაისიდან აგვისტოს ჩათვლით პრემიის სახით მიღებული აქვს 15 000 ლარი, ხოლო ამავე წლის აგვისტოში სახელფასო დანამატის სახით - 840 ლარი. აღსანიშნავია, რომ 2014 წლის (იანვარი-აგვსტო) განმავლობაშია კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მრჩევლებიდან ყველაზე მეტი ოდენობის პრემია სწორედ ღონიაშვილს აქვს მიღებული.[45] უკვე 2014 წლის სექტემბრიდან ღონიაშვილი კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრის მრჩეველთა რიგებში აღარ ფიგურირებს. როგორც ირკვევა, 2015 წლის თებერვლის მდგომარეობით იგი უკვე ქ. თბილისის მერის, დავით ნარმანიას მრჩეველია.[46]

ღონიაშვილს ჯერ 2013 წელს, შემდეგ კი 2014 წლის 2 აპრილს შევსებული აქვს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, სადაც თავის სამუშაო ადგილად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მიუთითა, ხოლო დაკავებულ თანამდებობად - სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს (დეპარტამენტი) ოფიცრები უშიშროების საკითხებში (მთავარი სამმართველო) სამმართველოს უფროსის მოადგილე. 2014 წელს შევსებული დეკლარაციის თანახმად, 2013 წლის განმავლობაში აღნიშნულ თანამდებობაზე ღონიაშვილს ხელფასის სახით მიღებული აქვს 37 847 ლარი.[47]

საჯარო სამსახურის ბიურო
თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია

სახელი, გვარი: **დავით ღონიაშვილი** #945430

თანამდებობის პირის დეკლარაცია შევსებულია: 02/04/2014

სამსახური, დაკავებული (ყოფილი) თანამდებობა:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, **სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს (დეპარტამენტი) ოფიცრები უშიშროების საკითხებში (მთავარი სამმართველო) სამმართველოს უფროსის მოადგილე**

სამსახურის მისამართი, ტელეფონი: საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას 72,

დაბადების ადგილი, დაბადების თარიღი: საქართველო, ყვარელი, 21/07/1975

გიორგი უკლება სოფლის მეურნეობის მინისტრის მრჩეველად დაინიშნა 2013 წლის ივლისში. მას 2013 და 2014 წლებში შევსებული აქვს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციები, საიდანაც ირკვევა, რომ 1972 წელს დაბადებული გიორგი უკლება - გიორგი

[45] http://opendata.ge/ka/request/41797 (31.03.2015)
[46] http://bit.ly/1EplB8L (24.02.2015)
[47] http://opendata.ge/ka/request/41840 (31.03.2015)

მეზვრიშვილის, ზურაბ გეგუჩაძისა და დავით ღონიაშვილის მსავსად - გასულ წლებში შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობდა. 2013 და 2014 წლების მარტის მდგომარეობით აღნიშნულ უწყებაში უკლებას ეკავა სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს (დეპარტამენტი) ოფიცრები უშიშროების საკითხებში (მთავარი სამმართველო) სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობა. ზემოხსენებული დეკლარაციებით ასევე ირკვევა, რომ **უკლება იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სსიპ-ის შემოსავლების სამსახურის უფროსის მრჩეველი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მრჩეველი, შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის დირექტორის თანაშემწე** და შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის პირველი მთავარი სამმართველოს განყოფილების უფროსი.[48] ვფიქრობთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილ საჯარო დაწესებულებებშიც გიორგი უკლება ასევე ე.წ. „ოდეერის“ ფუნქციას ასრულებდა.

აღსანიშნავია, რომ „ოდეერების“ თემაზე 2014 წლის 6 ოქტომბერს, შემდეგ კი 3 ნოემბერს[49] „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ გამოაქვეყნა კვლევა[50], სადაც დაასახელა პირები, რომლებიც სხვდასხვა უწყებაში „ოდეერად“ მუშაობდნენ. რამდენიმე მათგანი - გიორგი გამსახურდია, არჩილ ბებიაშვილი, ზაზა მაზმიშვილი, ვლადიმერ ბუნტურიძე და ზაზა მალუძე სხვადასხვა პოზიციებს იკავებდნენ შსს-ს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს (დეპარტამენტი) ოფიცრები უშიშროების საკითხებში სამმართველოში, სადაც წინამდებარე კვლევის პერიოდში მინისტრის მრჩევლის თანამდებობაზე მყოფნი - ზურაბ გეგუჩაძე, გიორგი მეზვრიშვილი, დავით ღონიაშვილი და გიორგი უკლება იყვნენ დასაქმებულნი.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ კვლევაში მოხსენიებული კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის მრჩევლის, ზაზა მაზმიშვილის შესახებ მონაცემები მოხვდა მრჩევლებთან დაკავშირებით IDFI-ისთვის მოწოდებულ მასალებს შორისაც. კომუნიკაციების ეროვნული კომისიიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მაზმიშვილი 2014 წლის 3 ნოემბრის მდგომარეობით იკავებდა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის შტატგარეშე მრჩეველის თანამდებობას. თავმჯდომარის მრჩევლად იგი 2013 წლის მაისში დაინიშნა. ინფორმაცია მაზმიშვილის სამუშაო გამოცდილებისა (CV) და თანამდებობრივი სარგოს შესახებ კომისიამ IDFI-ის არ მოაწოდა, რადგან როგორც ირკვევა თავად მაზმიშვილი არ იყო თანახმა აღნიშნული ინფორმაციის გაცემაზე. ანალოგიური მოტივით, მაზმიშვილის CV-ის მიღებაზე უარი ეთქვა „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოსაც“.[51]

საყურადღებოა მაზმიშვილის, როგორც კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის მრჩევლის ფუნქცია-მოვალეობები. კომიისიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად (2014 წლის 3 ნოემბრის მდგომარეობით) მაზმიშვილი შეიმუშავებს უსაფრთხოების საკითხებში კომისიის თავმჯდომარისთვის რჩევებს, რეკომენდაციებსა და წინადადებებს. იგი ასევე

[48] http://opendata.ge/ka/request/41845 (31.03.2015)
[49] http://transparency.ge/blog/kidev-ertkhel-ushishroebis-sakitkhebshi-opitsrebis-shesakheb (23.12.2014)
[50] http://transparency.ge/en/node/4682 (23.12.2014)
[51] http://transparency.ge/en/node/4682 (23.12.2014)

ახორციელებს კომისიაში შემოსული სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული დოკუმენტაციის უსაფრთხოების სისტემის მონიტორინგს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ მიერ გამოვლენილი კიდევ ერთი „ოდეერის“, არჩილ ბებიაშვილის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მრჩევლად დანიშვნის შესახებ ბრძანების ასლი მოხვდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან IDFI-ისთვის მოწოდებულ დოკუმენტებს შორისაც. აღნიშნული დოკუმენტით ირკვევა, რომ ბებიაშვილი მინისტრის მრჩევლად 2013 წლის 19 თებერვალს დაინიშნა. უკვე 2014 წლის ნოემბრის მდგომარეობით იგი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მრჩევლის თანამდებობას აღარ იკავებს.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მრჩევლების თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ბრძანებებიდან, რომელთა ასლები სამინისტრომ IDFI-ის მიაწოდა, **განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს წინა ხელისუფლების მინისტრის, ვერა ქობალიას მრჩევლების, ირაკლი შველიძისა და კოკა მელქაძის თანამდებობაზე დანიშვნის ბრძანებები.** აღნიშნული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ მინისტრის, ვერა ქობალიას მრჩევლად ირაკლი შველიძე 2012 წლის 26 ივლის დაინიშნა, შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, ვ. ლელუაშვილის წერილის საფუძველზე, ხოლო კოკა მელქაძე - 2010 წლის 30 ივნისს, შსს მინისტრის, ი. მერაბიშვილის წერილის საფუძველზე.



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი

ბრძანება

№ კ-1/380 **26 / ივლისი / 2012 წ.**

ირაკლი შველიძის დანიშვნის შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მრჩევლის თანამდებობაზე დაინიშნოს **ირაკლი შველიძე** 2012 წლის 26 ივლისიდან.

2. **ირაკლი შველიძეს** თანამდებობრივი სარგო განესაზღვროს 1 800.00 ლარის ოდენობით.

საფუძველი: 1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ვ. ლელუაშვილის წერილი (№964888 23.07.2012 წ.).

2. ირაკლი შველიძის განცხადება (№30562/12 26.07.2012 წ.).

მინისტრი ვერა ქობალია

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი

ბრძანება

ქ. თბილისი

№ 5-1/320 „30" 06 2010 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს
ადმინისტრაციის მინისტრის მრჩეველის თანამდებობაზე
კოკა მელქაძის დანიშვნის შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

კოკა მელქაძე – დაინიშნოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ადმინისტრაციის მინისტრის მრჩეველის თანამდებობაზე მიმდინარე წლის 30 ივნისიდან.

კოკა მელქაძეს თანამდებობრივი სარგო განესაზღვროს 1 700.00 ლარის ოდენობით.

საფუძველი: საქართველოს მინაგან საქმეთა მინისტრის იუანე მერაბიშვილის 2008 წლის 3 ოქტომბრის № 1/16-3473 წერილი.

ვერა ქობალია

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის როგორც მოქმედი, ასევე ყოფილი მრჩევლების CV-ები სამინისტრომ IDFI-ის არ მოაწოდა, შესაბამისად ინსტიტუტი არ ფლობს ინფორმაციას მათი სამუშაო გამოცდილების და კვალიფიკაციის შესახებ. თუმცა, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების წერილის საფუძველზე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მრჩევლებად ირაკლი შველიძისა და კოკა მელქაძის დანიშვნა ბადებს საფუძვლიან ეჭვს, რომ ორივე მათგანი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში ე.წ. „ოდეერად" ყოფილიყვნენ გამწესებულნი. სხვა შემთხვევაში გაუგებარია, რატომ ნიშნავდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი საკუთარ მრჩევლებად პირებს შსს-ს მაღალი თანამდებობის პირების წერილების საფუძველზე.

თუ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროებში მინისტრის მრჩევლის თანამდებობაზე მყოფი

ზემოაღნიშნული პირები ე.წ. „ოდეერებად“ არ მუშაობენ, მაშინ გაუგებარია, მინისტრების მრჩევლებად ისეთ პირების დანიშვნა, რომელებიც წლების განმავლობაში დასაქმებულნი იყვნენ შსს-ში და ამ სამინისტროების სპეციფიკასთან შეხება არ ჰქონიათ.

ამასთან, თუ რომელიმე პირი მრჩეველად ყოფნის პარალელულად შსს-ს თანამდებობის პირია (როგორც მაგ. გიორგი მეზვრიშვილის შემთხვევაში იყო), ირღვევა „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონი. კერძოდ, აღნიშნული კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად „თანამდებობის პირს უფლება არ აქვს, ასრულებდეს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური ან შემოქმედებითი საქმიანობისა, ან ეკავოს რაიმე თანამდებობა რომელიმე სხვა სახაზინო დაწესებულებაში ან სახაზინო საწარმოში.“[52]

ზემოთ განხილული მთელი რიგი შემთხვევების მსგავსად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიზეზით, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მრჩევლების თანამდებობაზე დანიშვნის ბრძანებების ასლები და ინფორმაცია მათი სამუშაო გამოცდილების (CV) შესახებ IDFI-ისთვის არ იქნა მოწოდებული. აღნიშნულთან დაკავშირებით, მუნიციპალური განვითარების ფონდმა განმარტა, რომ ფონდის მენეჯმენტი წინააღმდეგი არ იყო მსგავსი ტიპის დოკუმენტაციის გაცემაზე, თუმცა თვით მრჩევლები არ იყვნენ თანახმა საკუთარი პერსონალური ინფორმაციის გაცემაზე, შესაბამისად ფონდი IDFI-ის ვერ აწვდიდა მრჩეველთა თანამდებობაზე დანიშვნის ბრძანებების ასლებსა და CV-ებს.

2014 წლის ნოემბრის მდგომარეობით მუნიციპალური განვითარების ფონდისა და საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელების მოქმედი მრჩევლების თანამდებობაზე დანიშვნის ბრძანების ასლები და მათი CV-ები არ იქნა მოწოდებული, თუმცა წარმოდგენილ იქნა აღნიშნული მრჩევლების სამუშაო აღწერილობები, რაც განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. მაგალითად, მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის მრჩეველის უსაფრთხოების საკითხებში ფუნქციებში შედის:

- უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით აღმასრულებელი დირექტორისა და მისი მოადგილეებისთვის რეკომენდაციების გაწევა და პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზება;
- აღმასრულებელი დირექტორისა და მისი მოადგილეების დავალებით ფონდში შემოსული ფონდის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მასალების გაცნობა, კორესპონდენციებზე დასკვნებისა და რეკომენდაციების პროექტების მომზადება;
- ფონდის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემური სიტუაციების იდენტიფიცირება და საპასუხო რეაგირება, ასევე უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირება და შეფასება;
- ფონდის უსაფრთხოების დაცვის მიზნით შესაბამისი დოკუმენტაციის შექმნაში მონაწილეობის მიღება და რეკომენდაციების გაწევა;

[52] http://bit.ly/1Mmjt5k (12.01.2015)

საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მრჩევლების სამუშაო აღწერილობების თანახმად, მრჩევლები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში **ისმენენ დეპარტამენტის თანამშრომელთა მოხსენებებსა და ანგარიშებს**. დეპარტამენტის თავმჯდომარის ერთ-ერთი მრჩევლის ფუნქციებში ასევე შედის:

- დეპარტამენტის საჯარო მოსამსახურეთა მიერ შინაგანაწესის შესრულების მონიტორინგი;
- **დეპარტამენტის საჯარო მოსამსახურეთა მიერ დისციპლინური გადაცდომის თაობაზე მონიტორინგის განხორციელება, შესაბამისი ინფორმაციის მომზადება და დეპარტამენტის თავმჯდომარისთვის წარდგენა;**
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დეპარტამენტის თანამშრომელთა საკადრო დოკუმენტაციის წარმოებაზე მონიტორინგი;
- დეპარტამენტში საქმისწარმოების ორგანიზებაზე, შემოსული და გასული კორესპოდენციის რეგისტრაციის, დეპარტამენტის თავმჯდომარის გადაწყვეტილებათა შესრულების, შესრულებული დოკუმენტაციის აღრიცხვის მონიტორინგი;
- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დეპარტამენტში საიდუმლო საქმისწარმოების ორგანიზების მონიტორინგი;
- **თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კორესპოდენციის განხილვა და ვიზირება; დადგენილი წესით სამსახურებრივი ზედამხედველობის განხორციელება დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ მათი მოვალეობების შესრულებაზე; ასევე თანამშრომლების მიერ კონკრეტული დავალებების შესრულების ვადებისა და წესების დაცვის კონტროლი.**

საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მრჩეველის ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციების გაცნობისას, რჩება შთაბეჭდილება, რომ მრჩევლის თანამდებობაზე მყოფი პირი დეპარტამენტის და მის თანამშრომლების კონტროლისთვის არის დანიშნული.

აღსანიშნავია, რომ საჯარო დაწესებულებებში ე.წ. „ოდეერების“ ინსტიტუტის არსებობას ადასტურებენ როგორც ყოფილი, ისე მოქმედი ხელისუფლების წარმომადგენლები. მაგალითად, შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის ყოფილმა ხელმძღვანელმა, შოთა უტიაშვილმა ტელეკომპანია „იმედთან“ საუბარისას განაცხადა, რომ „ოდეერები“ კომფორტს უქმნიან სამინისტროს ხელმძღვანელობას.[53] „ცხრა წლის მანძილზე ვერ გავიხსენებ, რომ რომელიმე „ოდეერს“ რაიმე მნიშვნელოვანი საქმე გაეკეთებინოს... [„ოდეერი“] არის თანამდებობა, რომელზეც შეგიძლია დანიშნო ადამიანი, რომელიც არის საპენსიო და არ გინდა აწყენინო“, განაცხადა უტიაშვილმა.

„ჩვენ ვცდილობთ ამაზე უარი ვთქვათ და ალბათ, უახლოეს დროში მოვახერხებთ და აბსოლუტურად გეთანხმებით, რომ ეს ასე არ უნდა იყოს“ - განაცხადა 2013 წლის 17 ოქტომბერს

[53] http://imedi.ge/archive/index.php?pg=nws&id=38387&ct=1 (23.12.2014)

იმ დროისთვის პრემიერ მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა რედაქტორებთან შეხვედრაზე, გაზეთ „რეზონანსის“ რედაქტორის ლაშა ტუღუშის კითხვის საპასუხოდ.[54]

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სხვა საჯარო უწყებებში თანამშრომლების დანიშვნას უარყოფითად აფასებდნენ პარლამენტის წევრებიც. მაგალითად, საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, თამარ კორძაიამ 2014 წლის 29 ოქტომბერს განაცხადა, რომ ხელისუფლებამ ძველ მმართველობით სისტემასთან კავშირი უნდა შეწყვიტოს და „უარი უნდა თქვას ოდეერების სისტემაზე“.[55]

როგორც ცნობილია, „ოდეერების“ ინსტიტუტის გაუქმების მოთხოვნის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაციებმაც არაერთხელ გააკეთეს განცხადება.[56]

მიუხედავად ხელისუფლების ზემოხსენებული ტიპის განცხადებებისა და სამოქალაქო საზოგადოებაში ე.წ. „ოდეერების“ ინსტიტუტის მიმართ არსებული პროტესტისა, როგორც ჩანს, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებში კვლავაც არიან დასაქმებულნი. ვფიქრობთ, რომ სახელმწიფომ აუცილებლად უნდა გადახედოს საკუთარ პოლიტიკას „ოდეერების“ ინსტიტუტთან მიმართებაში და უნდა მოიყვანოს არსებული პრაქტიკა შესაბამისობაში თანამედროვე დემოკრატიულ სტანდარტებთან. აუცილებელია ამაზე ღია დისკუსიისა და მსჯელობის წარმართვაც. განსაკუთრებული როლი კი ამ პროცესში პარლამენტს და პარლამენტის თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხთა კომიტეტს, როგორც ძალოვან სტრუქტურებზე საპარლამენტო ზედამხეველობის ორგანოს უნდა დაეკისროს. აუცილებელია, აგრეთვე, რომ მსგავსი საბჭოთა მიდგომები გადახედილი იქნეს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმდინარე რეფორმირების ფარგლებშიც. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია სახელმწიფოს ლეგიტიმური ინტერესიც, რომ უზრუნველყოფილი იყოს სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის დაცვა, რაც სავარაუდოდ „ოდეერების“ სისტემის შენარჩუნების ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტია. თუმცა, გასათვალისწინებელია ის რისკიც, რაც მოყვება ამგვარ სისტემას დემოკრატიული მმართველობისთვის, როდესაც საჯარო დაწესებულებაში უშიშროების ორგანოების მიერ გამწესებული პირები შესაძლებელია გამოყენებულნი იქნენ საჯარო მოსამსახურეთა, მეტიც უმაღლეს თანამდებობის პირთა კონტროლისა და მათი საქმიანობის არაკანონშესაბამისი ზედამხედველობისთვის.

[54] http://www.netgazeti.ge/GE/105/News/24528/ (15.02.2015)
[55] https://www.youtube.com/watch?v=eJDR-Pe4kFQ&noredirect=1 (15.02.2015)
[56] http://www.netgazeti.ge/GE/105/News/24528/ (15.02.2015)

4. დასკვნა

წინამდებარე კვლევამ აჩვენა, რომ მრჩევლის ინსტიტუტი ფართოდ გამოიყენება საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებში, რაც განპირობებულია მრჩევლის ფუნქცია-მოვალეობების ფართო სპექტრით, ხშირ შემთხვევაში, არაკონკრეტული ფუნქციებითა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით, რაც მოქნილობის საშუალებას აძლევს უწყების ხელმძღვანელს მრჩევლის პოსტზე დანიშნოს არა მარტო პროფესიონალი (საუკეთესო შემთხვევაში), რომელიც კონკრეტულ მიმართულებაზე წარუდგენს კომპეტენტურ რეკომენდაციებს, არამედ, ნებისმიერი მისთვის სასურველი პირი, კონკურსის წესის გარეშე, რომელსაც შესაძლებელია არ ჰქონდეს მრჩევლისთვის შესაბამისი განათლება და აუცილებელი კომპეტენციები.

წინამდებარე კვლევით ასევე დგინდება, რომ რამდენიმე საჯარო დაწესებულებაში ხელმძღვანელის მრჩევლის თანამდებობას იკავებენ ან/და იკავებდნენ პირები, რომლებიც მანამდე ან იმავდროულად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს (დეპარტამენტი) ოფიცრები უშიშროების საკითხებში სამმართველოში მუშაობდენ. რამდენადაც ცნობილია, რომ აღნიშნული სამმართველოს თანამშრომლები, ე. წ. „ოდეერები“ სხვადასხვა საჯარო უწყებაში იყვნენ გამწესებულნი, არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ამჟამადაც რამდენიმე საჯარო უწყებაში (გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის, სოფლის მეურნეობის სამინისტროები) მრჩევლებად სწორედ ე.წ. „ოდეერები“ იყვნენ გაფორმებულნი.

IDFI დაუშვებლად მიიჩნევს ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლების არსებობას სხვა საჯარო თუ კერძო დაწესებულებებში, რადგან აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდის დემოკრატიული მმართველობის პრინციპებთან და ღირებულებებთან და ინსტიტუტი მოუწოდებს შინაგან საქმეთა სამინისტროს უარი თქვას სხვადასხვა ორგანოებში ე. წ. „ოდეერების“ გამწესების პრაქტიკაზე.

აღსანიშნავია, რომ საჯარო უწყებებიდან ძირითადად არ მოხდა მრჩეველთა შესახებ სრულყოფილი ინფორმაციების მოწოდება, რაც სავარაუდოდ განპირობობულია მრჩევლის ინსტიტუტთან დაკავშირებით არსებული ხარვეზების გადაფარვის მცდელობით.

ზემოხსენებული კვლევის საფუძველზე IDFI-ის მიაჩნია, რომ აუცილებელია კონკრეტულად განისაზღვროს მრჩევლების ფუნქცია-მოვალეობები სახელმწიფო უწყებებში. მრჩევლები ექსპერტულ ფუნქციას უნდა ასრულებდნენ იმ მიმართულებით, რაშიც შესაძლოა ამა თუ იმ უწყების ხელმძღვანელს არ ჰქონდეს სპეციფიკური ცოდნა და კვალიფიკაცია, თუმცა მრჩევლების დახმარება აუცილებელი იყოს მისი უფლებამოსილების განხორციელებისთვის. უწყების ხელმძღვანელის თითოეული მრჩევლის ფუნქცია-მოვალეობები და სამუშაო მიმართულებები მკვეთრად უნდა იყოს გამიჯნული ერთმანეთისგან. ამასთან, მრჩევლები თანამდებობებზე ღია და გამჭვირვალე კონკურსის წესით უნდა ინიშნებოდნენ, რათა მოხდეს ნეპოტიზმის შემთხვევების პრევენცია. საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის მრჩევლის, როგორც გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართული საჯარო მოსამსახურის, მიმართ

არსებული მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, ისევე, როგორც ნეპოტიზმის პრევენციის მიზნით, საჯარო დაწესებულებებში მრჩევლის თანამდებობაზე დასაქმებულ პირთა შესახებ ზოგადი ინფორმაცია (მათი ვინაობა, სამუშაო გამოცდილების და კვალიფიკაციის, ისევე როგორც მიღებული ანაზღაურების შესახებ მონაცემები) არ უნდა განიხილებოდეს პერსონალურ მონაცემად და ხელმისაწვდომი უნდა იყოს საჯაროდ.

დანართი

მრჩეველთა რაოდენობა და თანამდებობრივი სარგოები საჯარო დაწესებულებებში (09/2014-01/2015 მდგომარეობით) www.idfi.ge					
№	საჯარო დაწესებულება	თანამდებობა	რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო	
1	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	მინისტრის მრჩეველი	არ გასაჯაროვდა		2014 წლის სექტემბრის მდგომარეობით
2	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	მინისტრის მრჩეველი	2	1 400	
3	საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო	მინისტრის მრჩეველი	4	1 540	
4	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	მინისტრის მრჩეველი	3	2 550	
		მინისტრის მოადგილის მრჩეველი	2	1 320	
5	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	მინისტრის მრჩეველი	1	1 800	
6	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	მინისტრის მრჩეველი (შტატგარეშე)	5	არ გასაჯაროვდა	
7	საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი	მინისტრის მთავარი მრჩეველი	1	2 500	2014 წლის ნოემბრის მდგომარეობით
		მინისტრის მრჩეველი	1	2 400	
8	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	მინისტრის მრჩეველი	1	1 540	
9	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	მინისტრის მრჩეველი	3	1 700	
		მინისტრის პირველი მოადგილის მრჩეველი	1	1 700	
10	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	მინისტრის მრჩეველი	2	1 550	
		მინისტრის მრჩეველი	1	1 500	
11	დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	მინისტრის მრჩეველი	4	1 400	
12	საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	მინისტრის მრჩეველი	3	1 200	
			2015 წლის იანვრის მდგომარეობით		
13	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	2013-2014 წლებში 19 მინისტრის მრჩეველი		1 900	
14	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	მინისტრის მრჩეველი	1		
			2014 წლის ოქტომბრის მდგომარეობით ვაკანტური		
15	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	მინისტრის მრჩევლებისა და მინისტრის მოადგილეების მრჩევლების თანამდებობები საშტატო ნუსხით გათვალისწინებული არ არის			
16	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო				
17	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო				

18	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი	მინისტრის მრჩევლებისა და მინისტრის მოადგილეების მრჩევლების თანამდებობები საშტატო ნუსხით გათვალისწინებული არ არის			
19	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო				
20	აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო				
21	აჭარის ა/რ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	მინისტრის მრჩეველი	1	970	12/2014 წელი
22	აჭარის ა/რ-ის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	მინისტრის მრჩეველი	1	970	
23	აჭარის ა/რ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	მინისტრის მრჩეველი აგრარულ საკითხებში	2	970	
24	აჭარის ა/რ-ის მთავრობის აპარატი	მთავრობის თავმჯდომარის მრჩეველი	4	1 250	
			2015 წლის იანვრის მდგომაროებით		
25	კომუნიკაციების ეროვნული კომისია	თავმჯდომარის შტატგარეშე მრჩეველი	2	არ გასაჯაროვდა	2014 წლის ნოემბრის მდგომარეობით
26	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	გენერალური აუდიტორის სამდივნოს მთავარი მრჩეველი		2 200	
		გენერალური აუდიტორის სამდივნოს მრჩეველი		2 000	
27	სახალხო დამცველი	სახალხო დამცველის მრჩეველი	1	1 850	
28	საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია	მთავარი მრჩეველი	1	2 000 - 3 000	
		უფროსი მრჩეველი	4		
		მრჩეველი	3		
29	ცენტრალური საარჩევნო კომისია	მრჩეველი (III კატეგორია)	1	2 730	
30	საქართველოს ეროვნული ბანკი	ბანკის პრეზიდენტის მრჩეველი	4	არ გასაჯაროვდა	
31	სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - საქპატენტი	თავმჯდომარის მრჩეველი	3	2 350	
			1	3 000	
32	მთავარი პროკურატურა	მთავარი პროკურატურის ადმინისტრაციის ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი პროკურორის მრჩეველი (I კატეგორია)	2	1 500	2014 წლის ნოემბრის მდგომარეობით
33	სურსათის ეროვნული სააგენტო	სააგენტოს უფროსის მრჩეველი	1	1 750	
34	ღვინის ეროვნული სააგენტო	თავმჯდომარის მრჩეველი	3	1 500	
35	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო	გენერალური დირექტორის მრჩეველი	3	1 600	
36	შემოსავლების სამსახური	შემოსავლების სამსახურის მრჩეველი	1	არ გასაჯაროვდა	

37	შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი	დირექტორის მრჩეველი	1	2 160	
38	საზღვა ტრანსპორტის სააგენტო	დირექტორის მრჩეველი	2	2 750	
39	ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია	ხელმძღვანელის შტატგარეშე მრჩეველი	1	1 200	
40	საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო	დირექტორის მრჩეველი (შრომითი ხელშეკრულებით)	4	3 150	
				3 360	
				3 500	
				4 000	
41	სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო	დირექტორის მრჩეველი	2	1 300	
				3 400	
42	საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური	დირექტორის მრჩეველი	1	2 200	
43	სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო	თავმჯდომარის მრჩეველი	2	1 900	2014 წლის ნოემბრის მდგომარეობით
44	სოციალური მომსახურების სააგენტო	სააგენტოს მრჩეველი სააგენტოს სტრუქტურულ და ტერიტორიულ ერთეულებში	2	1 900	
		სააგენტოს შტატგარეშე მრჩეველი	1	1 800	
45	სამედიცინო მედიაციის სამსახური	სამსახურის მრჩეველი	1	1 600	
46	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი	ცენტრის მრჩეველი	1	1 450	
47	არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო	უფროსის მრჩეველი	1	1 400	
48	დაცული ტერიტორიების სააგენტო	თავმჯდომარის მრჩეველი	1	1 300	
49	საქართველოს ეროვნული მუზეუმი	გენერალური დირექტორის მრჩეველი	1	1 500	
50	კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო	გენერალური დირექტორის მრჩეველი	1	1 600	
			1	1 400	
			2	1 200	
51	საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	აღმასრულებელი დირექტორის მრჩეველი	1	3 000	
			1	4 000	
52	საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (სახ. საქვეუწყებო დაწესებულება)	თავმჯდომარის მრჩეველი	3	1 250	
53	სასაზღვრო პოლიცია	განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორად (მრჩეველი)	3	1 900	
			2014 წლის დეკემბრის მდგომარეობით		
სსიპ-ები, რომელთა ხელმძღვანელებს არ ჰყავთ მრჩევლები					
54	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	თავმჯდომარის მრჩევლის პოზიცია 2015 წლის 12 იანვრის მდგომარეობით ვაკანტურია			
55	ფინანსური მონიტორინგის სამსახური				
56	საქართველოს საგადასახადო ომბუდსმენი				
57	საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი				
58	საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა				
59	საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური				
60	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო				
61	საჯარო სამსახურის ბიურო				

62	იურიდიული დახმარების სამსახური	
63	სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია	
64	ფინანსთა სამინისტროს აკადემია	
65	საფინანსო ანალიტიკური სამსახური	
66	ფინანსთა სამინისტროს საგამომძიებო სამსახური	
67	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური	
68	მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	
69	საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო	
70	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	
71	სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო	
72	აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი	
73	ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი	
74	ოპერისა და ბალეტის თეატრი	
75	ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნების საინვესტიციო ცენტრი	
76	ხუხუნაიშვილის სახ. ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი	
77	საქართველოს შსს-ს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი	
78	საქსტატი	
79	საქართველოს შსს აკადემია	
80	შსს მომსახურების სააგენტო	
81	საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი	
82	საქართველს ეროვნული არქივი	
83	საქართველოს ნოტარიუსთა პალატა	
84	საჯარო რეესტრის ეროვნული ბიურო	
85	დანაშაულის პრევენციის ცენტრი	
86	მონაცემთა გაცვლის სააგენტო	
87	საქართველოს საკანონმდებლო მაცნე	
88	სმართ ლოჯიქი	
89	იუსტიციის სახლი	
90	აღსრულების ეროვნული ბიურო	
91	სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	
92	ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი	
93	გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრი - სსიპ „112“	
94	დაცვის პოლიცია	მრჩევლებთან დაკავშირებით IDFI-ის მოთხოვნები უპასუხოდ დატოვეს
95	შსს - ჯანმრთელობის დაცვის სამსახური	